# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ დღიური გაზეთი გამოდის კვირა-უქმეების შემდეგაც.— ოთხშაბათი, 19 იანვარი 1900 წ. № 1019.

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპეიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27); წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტირუზოვისა.—ხელთაუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

ტელეფონი № 372 — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“—„Моамбэ“



## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში | გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში . . . 1 წლ. 10 მ., 6 თვ. 6 მ., 3 თვ. 4 მ. | რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . 1 წლით 6 მან., 1 თვით 75 კაპ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . 13 მ. 7 მ. 5 მ, | სამზღვარ გარეთის ქალაქებში. . . . . 7 მან, 90 კაპ. |

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

| | |
| --- | --- |
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ჟურნალი „მოამბე“ და გაზეთი „ცნობის ფურცელი“ უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ დაეთმობათ წელიწადში 6 მანეთად და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს 8 მანეთად.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 იანვარს,

ბენეფისა

მ. მ. საფაროვისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

# ალლუმი

კომედია 4 მოქმედებად გადმ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.— დასაწყისი 8 საათზე.

ნ. (3—3) რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ა. მესხი

Въ Центральной книжной торговлѣ (въ Тифлисѣ) и въ книжномъ магазинѣ Бежанейшвили (въ Кутаисѣ) продается **новая книга**

## Календарь-Альманахъ
## НА 1900 Г.

сост. Г. Ласхишвили

(съ картой Трансвааля и портретами буровъ).

Въ книгѣ кромѣ календарныхъ свѣдѣній помѣщены разсказы К. С. Баранцевича, Малишевкаго и др.; стихотворенія Иванъ-да-Марья и Л. Кипіани; театральное обозрѣніе и др. статьи. **Ц. 20 коп.**

Складъ изданія—въ литографіи Шахбазіана, на Барятинской ул. д. № 8. ნ. (10—10)


## მთავრობის განკარგულებანი

### უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას.

რაჭის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პორუჩიკი თავ. დადიშქელიანი დაინიშნა ქუთაისის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

დრაგუნთა მე-54 ნოვომირგოროდის პოლკის კორნეტი თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ჩაირიცხა სათადარიგო ჯარში.

ფოთის მე-257 პოლკის პოდპრაპორშჩიკს აბესაძეს ებოძა პოდპორუჩიკობა.

ყუბანის პირველი პოლკის ხორუნჟი თავ. ერისთავი გადაყვანილ იქმნა საზღვრის სადარაჯო კორპუსში.

### მთავრობის განკარგულება სამოქალაქო უწყებას.

თანახმად ტფილისის სამოსამართლო პალატის დადგენილებისა, ტფილისის სახაზინო პალატის მდივანი კოლეჟ. სოვ. კონსტ. დიმ. თეთრაძე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

## ახალი ამბავი

✦ ბათუმიდან, ქუთაისიდან, ბაქოდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილებიდანაც მოგვივიდა ცნობები, რომ იქ გადაუხდიათ პანაშვიდები **გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებლად.**

გარდა იმ გვირგვინებისა, რომელიც ჩვენ გუშინ გვქონდა აღნიშნული, განსვენებულის კუბოს ამშვენებდნენ კიდევ შემდეგნი: ჟურნალ გაზეთებიდან —„კვალისა“ და „ჯეჯილი“-საგან, „ალბიურ-ტარაზი“-საგან და გ., ვ. და კ. თუმანიშვილებისაგან; ყაზანის, მოსკოვის და ტომსკის უნივერსიტეტების სტუდენტებისაგან, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან, გაბრიელის სახელობაზე ქუთაისში არსებულ ბიბლიოთეკისაგან, ქუთაისელ ხელოსანთაგან, ფოთის გამომცემელ ამხანაგობისაგან, ყვირილის და ჭიათურის ქართველთაგან, ქუთათურ ქართველ ქალთაგან, ქუთაისის გამომცემელ ამხანაგობისაგან, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთაგან, ტფილისის აღმზრდელ ქალთა საზოგადოებისაგან, ხელოსანთა ამხანაგობისაგან „შრომა“, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთაგან და მრავალი სხვა.

✦ ბაქოდან გვწერენ, რომ 16 იანვარს, გიორგი წერეთლის დაკრძალვის დღეს, იქ, რკინის გზის ეკკლესიაში, ნაშუადღევის პირველ საათზე, გარდახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: თ. ი. გ. ჭავჭავაძე, „კასპის“ რედაქტორი ბ-ნი ტოფჩიბაშევი, ბაქოს ქართველობა და ბევრი უცხოც.

✦ ახალ-ქალაქში 19 დეკემბერს **მომხდარ მიწის მვრის პირობებისა და გარემოების შესასწავლად** პეტერბურგიდან იგზავნება ცნობილი მეცნიერი პეტერბურგის სამთო ინსტიტუტისა პროფესორი ი. ვ. მუშკეტოვი.

✦ ბორჯომიდან ცნობა მოვიდა, რომ 17 იანვარს იქ უეცრად ამოხეთქა ცხელმა **გოგირდის წყალმა.** ამ მოვლენას, ჰფიქრობენ, კავშირი აქვს ახალ-ქალაქის მიწის ძვრასთანაო.

✦ განჯის გუბერნატორი გენ-მაიორი **კარეევი** დაბრუნდა პეტერბურგიდან და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

✦ განჯიდან გვატყობინებენ, რომ **ქართული საღამო** 23 იანვრისათვის დანიშნული გადიდვა 2 თებერვლისათვის.

✦ გეოქჩაის მაზრის **ექიმის იოსელიანის მოკვლის** შესახებ შემდეგ დაწვრილებით ამბებს გვატყობინებენ: 14 იანვარს ექიმი იოსელიანი მისულა დილას ადგილობრივ ქსენონში ავადმყოფების მისაღებად. იქ დახვედრია მისივე ფერშალი ზავიალოვი. ამას გადაუცია იოსელიანისთვის რაღაც ქაღალდები. ექიმი ჩამჯდარა სკამზე და დაუწყია ქაღალდების კითხვა. ამ დროს უკანიდან მდგარს ზავიალოვს ამოუღია ჯიბიდან დიდი საოპერაციო დანა და დაუცია ექიმისათვის გულში. იოსელიანს უტაცნია დანისთვის ხელი და შე-

უჩერები ბოროტ-გამზრახველი, მაგრამ ამ დროს წაქცეულა. ამით უსარგებლნია ზავიალოვს და 22 ჭრილობა კიდევ მიუცია საბრალო მსხვერპლისათვის. დაჭერილს ბოროტ-გამზრახველს გამოუცხადებია გამომძიებლისათვის: იოსელიანი მოვკალი მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველთვის დაცინვის კილოთი მელაპარაკებოდაო. ჰფიქრობენ, ზავიალოვი ფსიხიკურად უნდა იყოს ავადაო. ექიმს იოსელიანს დარჩენია ავადმყოფი ცოლი და სამი წვრილშვილი. განსვენებულის გვამი მოასვენეს ტფილისში და ხვალ დაკრძალავენ.

◆ სამხედრო სობოროში გუშინ, წლის თავზე, გადიხადეს პანაშვიდი ნამესტნიკის თანაშემწეთ ყოფილის განსვენებულის **თ. მარსკის** სულის მოსახსენებლად.

◆ ჩვენ შევიტყვეთ, რომ არდონის სამისიონერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი **ანდრონიკე** სხვაგან გადაჰყავთ, ხოლო მის ალაგზე ინიშნება ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი **ბერ-მონაზონი დიმიტრი**; დიმიტრის ადგილზე კი გადმოჰყავთ ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი—**არხანგელსკი**.

◆ **ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის** სადღესასწაულო აქტზე, 14 იანვარს, წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიში, რომლიდანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ სასწავლებელში ამ ჟამად 462 მოსწავლე ქალია; მათგან რუსი—220, ქართველი—145, სომეხი—81, თათარი — 9 და სხვა ეროვნების — თერთმეტი. წელს კარგის სწავლისათვის ქართველთაგან ჯილდო მიიღეს: „პირველის ხარისხისა—მარია ტყემალაძისამ, ნინო ამირაჯიბისამ, ნინო ვაჩნაძისამ, თამარა ანჩაბაძისამ, ანნა ხუციშვილისამ, ანნა ერისთვისამ, მარია შიუკაშვილისამ, მეორე ხარისხისა —თამარა შიუკაშვილისამ.

◆ „კავკაზ“-ის სიტყვით, სოხუმის ოლქში, მდ. გუმისტის ნაპირზე, განახლებულ ქართველთა ძველ ეკკლესიასთან განუზრახავთ დაარსონ რუსთა ქალების მონასტერი.

◆ სახელმწიფო ქონებათა მმართველი ბ-ნი ბეკი გაემგზავრა ახალქალაქში დასათვალიერებლად **მიწის მძვრისაგან დაზარალებულ** 14 სოფლისა და თავისუფალ სახელმწიფო ადგილებისა იმ სოფლების მცხოვრებთა გადასასახლებლად.

◆ გორიდან გაზ. „კავკაზ“-ს ატყობინებენ, რომ სათუხარლოში ადგილობრივ მემამულეს თ. ვ. ა. თარხან-მოურავოვს დაუწყია **ყველის მკეთებელ ქარხნის** შენება. ქარხანა მზად იქმნება მაისისთვის.

◆ ჩვენ სოხუმიდან გვატყობინებენ, რომ სოხუმის ეპარქიის მისიონერის მღვდლის ტარასი ივანიცკის მეცადინეობით წარსულ წლის ქრისტეშობისთვეში **მართლ-მადიდებლობას შემოუერთდა** 62 კაცი. მონათლულნი არიან მცხოვრებნი სოფ. ტამუშისა და ცხენისწყალისა (კოდორის ნაწილი). მისიონერისავე ჩაგონებით, სოფ. ცხენის-წყალში სოფლელთ დაადგინეს თავიანთის საფასით აღაგონ ეკკლესია და კრებულისათვის სახლი. გარდა ამისა, ქრისტიშობისთვემდე სხვა-და-სხვა დროს მამა ივანიცკიმ ბზიფის (დასავლეთ აფხაზეთში) სოფლებში აჰანდარას, დურუფშში და სხვაგან 46 სული—ზოგი ახლად მონათლა, ზოგიც გადამდგარი იყო და კათაკმევით შემოუერთა მართლ-მადიდებლობას.

◆ ამას წინად პოლიციამ აღმოაჩინა, რომ სიდონია გურიელისას ხელობად გაეხადნა **პატარა ქალებით ვაჭრობა**. სხვათა შორის ერთი თორმეტი წლის ქალი, გაეუპატიურებინებინა; ამის შესახებ ბრალმდებელს ოქმი უკვე შეუდგენია და ჩაუბარებიათ იგი ბრალდებულისათვის.

◆ წარსულის წლის 23 დეკემბერს გორის ქალაქის თვითმმართველობას დაუდგენია იშუამდგომლოს ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ხაზინის ხარჯით წყლის დასაკავებელი კედელი იქმნას აგებული. ეს დადგენილება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობამ მარჯვენა მხარეს მტკვრის ნაპირი შეუმაგრებია, რის გამო წყალი მარცხენა მხარეს მიაწყდა თურმე. ადიდების დროს შესაძლებელია მდინარემ დიდი ზარალი მიაყენოს ქალაქს. („ივერია“)

◆ **ტფილის საკომერციო ბანკის ბაქოს განყოფილების გამგეთ**, როგორც გადმოგვცეს, მიუწვევიათ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების კონტროლერი ბ-ნი გულბანი. გამგეს დაენიშნება წელიწადში 9000 მანეთი.

◆ უკანასკნელ სამის კვირის განმავლობაში ტფილისში საშინლად **გაძვირდა ხორცი**. ამის მიზეზი, როგორც აღმოჩნდა, შემდეგი გარემოება ყოფილა: 1) საქონლის ჭირისა გამო, სადაც რკინის გზებია მორეკვა საქონლისა, თუ არა რკინის გზით, აკრძალულია; 2) იმავე მიზეზისა გამო მთელი ლენქორანის არე-მარედან ზაფხულში სრულიად არ გამოუშვეს თალიშის საქონელი, რომელიც ამ დროს ძალიან იაფად იყიდება და ამ სიიაფისა გამო ადგილობრივი საქონელიც იაფდება ხოლმე ზამთრის პირას და მესამე ის, რომ თოვლიან ზამთარისა გამო გზებიც შეკრულია და ბალახიც დამალულია. რაკი თალიშის საქონელი არ მოვიდა და ფასი საქონლისა კარგი იყო, ამისათვის ვისაც საქონელი ქალაქის ახლო-მახლო ჰყავდა—მორეკა და გაჰყიდა. ამგვარად ახლო ადგილებიდან მორეკილი 8000 სული საქონელი გაიყიდა მანამ დაზამთრდებოდა, ახლა კი ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა გამო საქონლის მორეკა შესწყდა, ახლო-მახლოდან მორეკილ საქონლის ფასმა აიწია, ხორცი გაძვირდა და, რადგან ქალაქის გამგეობამ ნიხრს არ მოუმატა, ყასბებმა მდარე საქონლისა და კამეჩების დაკვლას მოუხშირეს. საზოგადოდ, ტფილისის ყასბები თავ-გასულნი არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ხორცის უვარგისობა და სიძვირე აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ქალაქის მმართველობა საქმეს ისე კი არ უყურებს, როგორც პატრონი ქალაქისა და მის მცხოვრებთა ინტერესების დამცველი, არამედ როგორც „კანცელიარისტი“. ბ-ნი ნ. ნიკოლაძის წინადადება შესახებ საქალაქო საყასპოებისა და ფურნეების გახსნისა და სხვა ამგვარივე წინადადებანი ქალაქის გამგეობამ დაივიწყებას მისცა და მცხოვრებნი შემთხვევათა ანაბარად დასტოვა. წინად ეს უზრუნველობა იმდენად შესამჩნევი არ იყო, როგორც ახლა, რადგან თუმცა ფასები იზრდებოდა, მაგრამ ამ ზომამდე არ აწეულა. ახლა კი, როდესაც დღეში თორმეტი ათასი მანეთი ეხარჯება ქალაქის მცხოვრებთ მხოლოდ ქალაქის მხრით უზრუნველობისა გამო, რასაკვირველია, ქალაქის გამგეობა, მეტი გზა არ არის, უნდა შესდგომოდა გაძვირების მიზეზთა გამოკვლევას. წარსულ პარასკევს ჰქონდა პირველი სხდომა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ზოგიერთი ყასბებიც. გამოირკვა მიზეზი და აღმოჩნდა, რომ ქალაქის გამგეობას წინადვე უნდა ჰქონოდა მხედველობაში ასეთი ბოლო და მომზადებულიყო ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად. ქალაქის გამგეობამ მეორე კრება დანიშნა, რომელსაც დაესწრო, ქალაქის მოურავის თხოვნით, საბეითალო ნაწილის ინსპექტორის თანაშემწე ბ-ნი ნ. კრიდნერი. ამ კრებაზედაც გამოირკვა, რომ ქალაქმა უეჭველად საკუთარი საყასპოები უნდა გახსნას, ხორცი ხარისხებზე დაჰყოს და ისე გაყიდოს და მხოლოდ მაშინ შეიძლება ცოტაოდენი რიგიანობა დაეტყოს საქმეს. ახლა კი შეიძლება დაკლული საქონელი ჩამოიტანოს რკინის გზით ალსტაფიდან, გუმბრიდან და ყარსიდანაც, სადაც, შედარებით ტფილისთან საქონელი იაფია. ქალაქის გამგეობამ მოისმინა აზრი ყასბებისაც, რომელნიც სრულიად დაეთანხმნენ ბ. კრიდნერის აზრს. ყველა ეს ჩაიწერა ოქმში და... ხორცი ისევ ძვირიც არის და უვარგისიც.

## ტფილისის საბჭო

17 იანვარს **საბჭოს კრების** მიერ განსახილველად დანიშნული იყო შვიდი საქმე, ხოლო ამათში გაიშინჯა პირველი,—1895 წ. გამგეობის ანგარიში. ქალაქის მოურავმა კრების გახსნისათანავე მოახსენა საბჭოს გარდაცვალება განსვენებულის გ. წერეთლისა ® დასძინა, რომ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებმა უკვე აღნიშნეს რა ლიტერატურული ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს თავის სამშობლოს წინაშე, ხოლო არავინ არ შეეხო მის მოკლე, მაგრამ ნაყოფიერს ღვაწლს ტფილისის საქალაქო საქმეების მართვაშიო. იგი დიდის მეცადინეობით და ცოდნით ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც გამგეობის წევრიო. ამასთანავე აღსანიშნია ის მტკიცე მიმართულებაც, რომელიც არავისათვის არ იყო დაფარული. იგი წინააღმდეგი იყო ნაციონალურ განმარტოებისა და ყოველთვის სცდილობდა მკვიდრთა ინტერესების შეერთებასო. ამისათვის ნიშნად განსვენებულის პატივისცემისა ფეხზე ავდგეთო. კრება ფეხზე ადგა. შემდეგ ქალაქის მოურავმა თავმჯდომარეობა გადასცა ხმოსანს კ. ალიხანოვს, რადგან გამგეობის ანგარიში უნდა განეხილათ. მთელი საღამო მოანდომეს ერთი წლის ანგარიშის გასინჯვას. დასასრულ საბჭომ დაადგინა მადლობა გადაუხადოს სარევიზიო კომისიას ანგარიშის განხილვისათვის. ამ კრებაზედვე გარდაწყვეტილ იქმნა ძეგლი დაუდგას განსვენებულის შიოევისას, რომელმაც ქალაქს შესწირა ორი სახლი; ამისითვის დასახარჯად გადიდო 4120 მან., რომელიც განსვენებულის ანდერძის აღმასრულებლებმა შეიტანეს კასსაში. გარდა ამისა ქალაქის გამგეობას მიანდო საბჭომ მოამზადოს და წარუდგინოს მას ტეხნიკური სასწავლებლის პროექტი. ეს სასწავ-

ლებელი უნდა გაიხსნას და შეინახებოდეს, თანხმად შიოევის სურვილისა, შეწირული სახლების შემოსავლით, რომელიც ახლა წელიწადში 880 მან.

---

## სასამართლოს მატიანე

(დასასრული *)

მოგვყავს ზოგიერთ მოწმეთა ჩვენება.

მეეტლე **მდებრიშვილმა** განაცხადა, რომ მას მოქრთამვას უპირებდნენ თავად ბარათაშვილის და ტუსიშვილის ნათესავები, რათა მათ სასარგებლოდ მეჩვენებინა, მაგრამ, თუმცა მე მათ ფული გამოვართვიო ტყუილი არ მეჩვენებია, სულ სიმართლე ვილაპარაკე ოლქის სასამართლოშიო“. შემდეგ მოწმემ აჩვენა, რომ ეტლიდან ყველა ბრალდებულები ჩამოხტნენ და თავს დაესხნენ გაბაშვილსაო; ჩხუბი მუშტი-კრივით დაიწყო, შემდეგ ვიღამაც ქართულად დაიძახა—„ხანჯალი დაჰკარითო“. და მაშინვე ხანჯლების ტრიალი შეიქნა. მე შევამჩნიეო, განაგრძო ლებრიშვილმა, რომ წითელ ჩოხიანმა ხანჯალი თავში დასცა გაბაშვილსაო; უკანასკნელი დაეცა და იყვირა—მომკლესო.

**ნადქუდა ლორენცოვისა.** მე ბრალდებულებთან ერთად ვიყავი „ერმიტაჟის“ ბაღში და იქიდან ეტლით მოვდიოდით ქალაქში. ტუსიშვილის და 200 მ. მაძლევდა, ოღონდ სასამართლოში ნუ იტყვი, რომ ტუსიშვილიც გადმოხტა ეტლიდანაო, მაგრამ მე უარი ვსთქვი და ახლაც მართალს ვამბობ: ეტლიდან ყველაჩამოხტნენ და დაიწყო ჩხუბი; პატარა ხნის შემდეგ ტერ-შმოვანოვმა დაიძახა—ხანჯლები დაჰკარითო და მართლაც დატრიალდა ხანჯლები. მე შევშინდი და ეტლში მივიმალე; რა მოხდა მერე, არ ვიცი. პატარა ხნის შემდეგ ეტლთან მოვიდა ოსიტაშვილი და სთქვა, დაჭრილი ვარო.

მეტეხის ციხის გამგემ **ანუშკინმა** განაცხადა: სანამდის სასამართლოში საქმე გაირჩეოდა, ბრალდებულნი სცდილობდნენ ჩაეგონებიათ ოსიტაშვილისათვის, რომ ყოველი დანაშაული უკანასკნელს მიეღო თავის თავზე. როდესაც ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე, ბრალდებულებმა ტუსიშვილმა, ოსიტაშვილმა და ტერ-შმოვანოვმა თავ. ბარათაშვილი ამოიღეს ნიშანში და განიზრახეს იმისთვის მოეხვიათ კისერზე მთელი დანაშაული. მოწმები ამბობენ, რომ გაბაშვილი სასიკვდილოდ დასჭრა წითელ ჩოხიანმაო; მე რამდენჯერმე გამისინჯავს დღისით თავ. ბარათაშვილის და თავ. ტუსიშვილის ჩოხები, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მათ ფერის შორის საკმაო განსხვავება ვერ შევნიშნე: ორივეს ჩოხა მოწითალოა, თუმცა ტუსიშვილისა უფრო შავია. საღამოთი კი მათი გარჩევა შეუძლებელი იყო. ბარათაშვილის ჩოხაზე სისხლი ვერ ვიპოვეთ.

დანარჩენ მოწმების ჩვენება საყურადღებო არ იყო; მათ ახალი არა შესძინეს-რა ამ ცნობილს საქმეს.

შემდეგ წარმოსთქვეს ბრალდებითი და დასაცველი სიტყვები ბრალმდებელმა და ვექილებმა.

სასამართლო პალატამ, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, ყველა ბრალდებული სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა ყველას ოთხი წლით კატორღაში გაგზავნა.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1016.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**16 იანვარი**

**ლონდონი.** 17 იანვარს ბულერისაგან მოსული დეპეშა ამბობს. უორენმა უკუაქცია მტერი და დაიჭირა მთის სამხრეთი ნაწილი, რომელიც ლედი სმიტიდან დასავლეთით მდებარეობს. ის ახლო იდგა მტრის მძლავრ პოზიციასთან. უორენს ადვილად შეეძლო არ დაეტოვებინა თავისი პოზიცია, მაგრამ უკანასკნელი არვარგოდა ჯარების მოძრაობისათვის, ნამეტურ არტილერია ვერ გამაგრდა მთის დაქანებულ კალთებზე; გარდა ამისა პოზიციას აკლდა წყალი. დიდის გაჭირვებით დავსთანხმდი მე მიეტანათ იერიში 11 იანვარს ქ. სპიონსკოპზე. სამშაბათ ღამეს უორენმა დაიჭირა სპიონსკოპი მაგრამ შეუძლებლად დაინახა ქალაქში გაჩერება, რადგანაც არც იქ იყო წყალი მთის წვერი მთელი დღე დაჭერილი ჰქონდა უორენს მიუხედავად მტრის საშინელი სროლისა. ჩვენი ჯარები მამაცურად იბრძოდნენ. გენ. უტგეტი დასჭრეს. აფიცერმა, რომელმაც დაიკავა მისი ადგილი, 13 იანვარს, ღამით, გარდასწყვიტა დატოვება პოზიციისა და გათენებამდის უკან დაიწია. მე მივედი უორენის ბანაკში 13 იანვარს დილით და იქ დავრწმუნდი, რომ მეორე იერიშის მიტანა, საზარალო იქნებოდა და ამიტომ გარდავწყვიტე უკან დაწევა. უორენის ჯარები იმ დღესვე მდინარე ტუგელის სამხრეთ ნაპირზე გადვიდნენ ისე, რომ არც ერთი კაცი არ დაუკარგავთ. ის გარემოესა, რომ ჩვენმა ჯარებმა უზარალოთ დაიწიეს უკან, მოწმობის მის სიმამაცეს; მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩვენ ადვილად გადავედით მდ. იქითა ნაპირზე, ამტკიცებს რომ ბურები მოკრძალებით უყურებენ ჩვენს ჯარებს.

**ლორენცო-მარკეზი.** 12 იანვარს ბურებისაგან მიღებული დეპეშა იუწყება, რომ სპიონსკოპთან ცხარე ბრძოლაა. ბურების ჯარები თანდათან წინ მიიწევენ. 150 ინგლისელმა იარაღი დაჰყარეს და დატყვევებულ იქმნენ. ბრძოლა არ შეწყვეტილა.

ბურების ბანაკიდან მოდდერსტრუიტზე, ლედი-სმიტთან, 13 იანვარს იუწყებიან, რომ ინგლისელებს წინა დღის ბრძოლაში მოუკლეს 1500 კაცი. ბულერი ციებით გახდა ავათ, მაგრამ ჩქარა მორჩა.

**პარიზი.** ამ დღეებში მოხდა არჩევნები 99 სენატორისა; წინედ 94 რესპუბლიკელი იყო და 5 კონსერვატორი. არჩევნების შედეგი: აურჩევიათ 61 რესპუბლიკელი, 6—რესპუბლიკელი ლიბერალი, 18—რადიკალი, 7—რადიკალ-სოციალისტი, 3—ნაციონალისტი და 4 კონსერვატორი.

**პეტერბურგი.** 16 იანვარს, ღამით, აპრაქსინის ვიწრო ქუჩაში ცეცხლი მოეკიდა ექვ სართულიან სახლს; დაიწვა 7 კაცი.

**კიევი,** კიევის საგუბერნიო ხაზინიდან ყალბი საბუთით გენ. ბელცოვის ქერივის სახელზე ვიღასაც მიუღია 1195 მან.

**ვენა.** გაზეთ „ნეიე ფრეი პრესს“-ი ამბობს, რომ ვენის პოლიტიკური წრეები მეტად სერიოზულად უცქერიან ჩინეთში მომხდარ ამბებს და მოელიან, რომ სხვა სახელმწიფოებიც, საფრანგეთის მიხედვით, გაგზავნიან პეკინში თავის ჯარებს.

**ბერლინი** ლეიდსმა უთხრა ერთი გაზეთის თანამშრომელს, რომ თუმცა ომი ძალიან გაგრძელდა, მაინც ტრანსვაალი პირველად არ მოითხოვს მშვიდობიანობის ჩამოგდებას; აგრეთვე არ დასთანხმდება, რომ შერიგება მოხდეს იმ პირობების დაცვით, რომლებიც ომის დაწყებამდის ჰქონდათ. (status quo a nte bellum).

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა კოლენზოდან: ლუკა მეიერის ჯარი დაესხა ქვეითა ჯარების დიდს რაზმს ბეტუნთან; ინგლისელებს მოუკლეს და დაუჭრეს 20 კაცი, ტყვედ წაიყვანეს 15.

**გელსინგფორსი:** გენერალ გუბერნატორმა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს ქვეშევრდომილესი დეპეშა ფინლანდიის სეიმის მაგიერ. იმპერატორმა კეთილ ინება და შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა გენერალ-გუბერნატორს: „გულწრფელ მადლობას ვუთვლი სეიმის წევრთ, რომელთაც გამოგვიცხადეს მე და ჩემს ოჯახს ერთგულება“.

**ლონდონი.** გაზეთ „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან: მკიდრთა საზოგადოება, რომელიც, როგორც სჩანს, წარმომადგენელია ჩინეთის პროგრესს“-ისტთა პარტიისა, ცდილობს ინგლისის მთავრობამ კუან-სუს მხარე დაიჭიროს.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს სწერენ: რობერტს მიენდო გარდასწყვიტოს—რამდენად გონივრული იქმნება რომ ინგლისელი ჯარები ვლავ შეეცადნენ ლედისმიტის განთავისუფლებას.

შესაძლებელია, ჩვენ ადრე თუ გვიან მოგველის უსაშინელესი განსაცდელი, ისეთი, როგორიც წილად ხვდა იორკ-ტუანს, როროდესაც იგი ამერიკელებმა დაიპყრეს.

„ტაიმს“-ი ურჩევს მთავრობას, რაც შეიძლება მალე გაიგზავნოს ბრძოლის ველზე 50,000 კაცი და თადარიგი დაიჭიროს სხვა 50,000 კაცის გაგზავნისათვის.

„მორინგ პოსტ“ ამბობს, რომ ახლანდელი საქმეთა ვითარება თხოულობს უპირველესად ყოვლისა ყოველ შემთხვევისათვის ფლოტი, მილიცია და თაეისუფილ მეომართა რაზმები გამზადებული იყოს საომრად. თუ ვინიცობაა ჩვენს საქმეებში ჩაერია რომელიმე სხვა სახელმწიფო, ხალხის იმედები დამყარებულია ფლოტის სიძლიერეზე.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენ. ატყობინებენ პეკინიდან, რომ იქ ჰფიქრობენ იმპერატორის ქვრივის მიერ მოხდენილი სახელმწიფო ცვლილება მშვიდობიანათ იქმნება მიღებული ჩინელებისაგან.

**ლისსაბონი.** პარიზის გაზეთებში მოყვანილი იყო ცნობა, რომ სამხრეთ აფრიკის ჯარები გადავიდნენ პორტუგალიის ახალშენების საზღვარს.

**მოზამბიკი.** აქ ოფიციალურად აცხადებს, რომ ეს ცნობა გამოგონილიაო.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ბულლერის მიერ აღნიშნული ზარალი შეეხებოდა ლიტტელტნის ჯარებს, რომელთაც რამდენადაც სამხედრო სამხედრო სამინისტრომ იცის, არ მიუღიათ მონაწილეობა სპიონს-

კოპთან მომხდარ ბრძოლაში; ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ზარალი უნდა მივუმატოთ კიდევ იმ საშინელს ზარალს, რომელიც მოუვიდა ინგლისელებს სპიონსკოპტონ ბრძოლის დროს.

**ხანკჰოუ.** მთავრობის განკარგულებით აქაურმა დიდ ბრიტანიის კონსულმა ბრძანა აღებულ იქმნას კედელი, რომელიც ინგლისელებმა ააშენეს შემოდგმაზე რუსების მიერ იჯარით აღებულ მიწებზე.

18 იანვარი.

**ლონდონი.** ბულლერის უკან დაწევამ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ, რადგანაც ამ გარემოებიდან ის დასკვნა გამოჰყავთ; ვითომ სამუდამოდ თავი დაენებებინოთ ლედი-სმიტის განსათავისუფლებლად მეცადინეობისათვის, სხვადა-სხვა გაზეთები თხოულობენ, რომ ლედი-სმიტი დატოვებულ იქმნას და სისრულეში მოიყვანონ ის გეგმა მოქმედებისა, რომლითაც ინგლისის ჯარები პირველ ორანჟეს რესპუბლიკაში უნდა შესულიყვნენ. გაზეთები მოუწოდებენ ინგლისელთ, რომ მათ ინგლისის სამხრეთ-აფრიკაში ბატონობის დასაცველად არ დაიშურონ მეცადინეობა. მოუთმენლად მოელიან ხვალინდელ პარლამენტის გახსნას.

**პრეტორია.** 14 იანვარს მოვიდნენ პრეზიდენტი შტეინი და წევრი ორანჟეს რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტისა ფიშერი. მათ რკინის გზის სადგურზე მიეგება პრეზიდენტი კრიუგერი და მთავრობა. მოსულნი კრიუგერმა თავისთან მიიპატიჟა. გზაზედ ხალხი დიდის აღტაცებით ეგებებოდა საპატიო სტუმრებს.

**ლონდონი.** დედოფალ ვიქტორიას თავმჯდომარეობით ნაშუადღევს შედგა მინისტრთა ბჭობა ბოსონში. სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ხმა, ვითომ ლედი-სმიტი ბურებმა დაიპყრეს, სიმართლეს მოკლებულია იმბობენ, სეფე-სიტყვაში გამოთქმული იქნება მწუხარება იმის შესახებ, რომ ბურებმა დაარღვიეს მშვიდობიანობა და შემოწმებულ იქმნება ის, რომ ინგლისს ყველა სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება აქვს. სეფე-სიტყვის ერთ უმთავრეს ადგილად ასახელებენ იმ მუხლს, რომელიც აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა სამხედრო ბიუჯეტის გადიდება, შემდეგ გამოთქმულ იქნება მწუხარება იმ დანაკლისის შესახებ, რთმელიო ინგლისს სამხრეთ აფრიკაში მოუვიდა და გამოეცხადება მადლობა ახალშენების მცხოვრებთა მათი პატრიოტული გრძნობებისა და მოქმედებისათვის. დასასრულ სეფე-სიტყვა გაიხსენებს გერმანიის და ინგლისის ხელშეკრულებას სამთა შესახებ. ბულლერი დეპეშით 15 იანვარს იტყობინება, რომ სპიონსკოპთან 12 იანვარს მომხდარ ბრძოლაში დაკარგულ 5 დივიზიის და კავალერიის ბრიგადის აფიცერთა შორის 22 მოკლულია 20 დაჭრილი და 6 ტყვეთ წაყვა ნილი. დაჭრილთა შორის იყო გენერალი უდგეტი, ერთი პოლკოვნიკი და ორიც მაიორი.

სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა რობესტრისაგან მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ საქმეთა მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ვაშინგტონი.** სენატმა დღეს არ მიიღო წინადადება სამოას შესახებ ხელ-შეკრულობის მეორედ განხილვისა.

**ნიუ-იორკი.** სან-ლუიში და მიეაპოლში მოხდა კრებები ბურების სასარგებლოდ. დიდის აღტაცებით იქმნა მიღებული დადგენილებანი, რომლებშიაც გამოთქმულია ბურებისადმი თანაგრძნობა. თხოულობენ მაკ-კინლეისაგან, რომ მან უეჭველად იკისროს შუამდგომლობა მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. აცხადებენ უკმაყოფილებას, რომ ომში დუმ-დუმის ტყვიას ხმარობენ და ლედიტის ყუმბარებს.

**ლონდონი.** „ტაიმ“-ს დეპეშით ატყობინებენ რენსბურგიდან 14 იანვარს, რომ გუშინ გენ. კლემენტსი რაზმით გამოვიდა სალინგერსტენიდან და ბრძოლა მოუხდა მტერთან. ჯარები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ და დაუწყეს სროლა გორაკს. ბურების პირველმა ყუმბარამვე მოჰკლა გენერლის თანამხლებელი; ამის შემდეგ ბრიტანიის ქვეითა ჯარმა უკან დაიწია, მათ უკან მისდევდნენ ორასი ბური, რომლებიც ახლო ჩასაფრებული მორჩესტის პოლკის სამმა რაზმმა უკან გაიბრუნა. ინგლისელებს ერთი კაცი მოუკლეს და 2 დაუჭრეს.

გუშინ პლესსესფორტის ახლოს, კოლსბერგიდან ჩრდილოეთით 7 მილ. მანძილზე, ფრენჩის ჯარი თავს დაესხა ბურებს, მაგრამ ჩქარა მობრუნდა ბანაკში, რადგანაც დაინახა, რომ ბტერს ბლომად მეშველი ჯარი მოუვიდა. ინგლისელების მხრით ერთია დაჭრილი.

**პეტერბურგი.** 15 იანვარს 1900 წ. ფინლიანდიის სეიმის გახსნის დროს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის მიერ წაკითხულ იქმნა შემდეგი **უმაღლესი სიტყვა**: „ფინლანდიის ერის წარმომადგენლნო! მე შეგკრიფეთ თქვენ განსახილველად იმ კანონპროექტისა, რომლის შედგენა გამოიწვია ფინლიანდიის დიდი სამთავროს ადგილობრიემა მოთხოვნილებებმა, უმთავრესი ნაწილი კანონ-პროექტისა შეეხება ქვეყნის კეთილ-დღეობას. უკანასკნელ ხანებში მეურნეობა არა სასურველ მდგომარეობაში ჩავარდა. წარსულ წელს ფინლანდია შეავიწროვა მოუსავლობამ და გამოიწვია მკვიდრთა სხვა ქვეყნებში გადასახლება. სენატის მიერ აღმოჩენილი დახმარება გაჭირვებულთათვის, შეერთებული კერძო შეწირულებასთან, ვიმედოვნებ, შესამჩნევად გაუადვილებს ხალხს ზემოვლინებულ უბედურების თავიდან აცილებას; ამას გარდა ვუბრძანე წარმომიდგინონ მოსაზრებანი წელს სამხედრო ბეგარის აღსასრულებლად მოწვეულთა განთავისუფლების შესახებ, რათა ამ უკანასკნელთ მიეცეს ნება განაგრძონ თაეიანთ ჩვეულებრივი მუშაობა თვისდა ოჯახის საკეთილდღეოდ. რამდენიც დრო გადის, იმდენი სოფლის მუშა ანებებს თავს თავის მამულ-დედულს და სახლდება სხვაგან.

ეს შედეგია საერთო ეკონომიური პირობებისა და აუცილებელი მიღებულ იქმნას ზომები ამ მოვლენის გამოსაკვლევლად და მისი შედეგის თავიდან ასაცილებლად. ზომებთა შორის უმთავრესი ადგილი უნდა დაეთმოს მუშაობის პირობების გაუმჯობესობას. ამის განსახორციელებლად მიმართულია ჩემი ბრძანება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძინონ მიწა სოფლელმა ღარიბმა მცხოვრებლებმა სეიმისაგან მიწად მფლობელობისა და მეურნეობის საქმეების კარგად მოწყობა ხელს შეუწყობს ჩემს განზრახვათა განხორციელებას. ეს საქმე მოითხოვს თქვენგან დიდ შრომას, სიფრთხილით და სერიოზულად სეიმის მუშაობაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ისეთ მსჯელობას, რომელიც გადაუხვევს აღნიშნულ გზას და შეეხება კითხვას საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის მხრით.

ამ ნაირმა მსჯელობამ სეიმს უკანასკნელ საგანგებო კრებაზე. ხალხში დაბადა ტყუილ უბრალო შიში. მათი განმეორება ეჭვს დაბადავს იმის შესახებ. შეესაბამება თუ არა სეიმური კანონმდებლობა საქმეთა ახლანდელ ვითარებას“.

დრ. რედაქტ. ალ. ჭუონია.

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდარო ცნობები

**ოთხშაბათი, 19** იანვარი; ახალი სტილით **31** იანვარი. მთვარის მე-3 დღე. წლის დასრულებამდე დარჩა **347** დღე. ხსენება ღირსისა მამისა მაკარისა, ღირსისა არსენისა და ანტონ მარტომყოფელისა.

**ხუთშაბათი, 20** იანვარი; ახალი სტილით 1 თებერვალი, წლის დასრულებამდე დარჩა 346 დღე, მთვარის მე-4 დღე. ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა დიდის ექვთიმესი.

შემდეგი უქმე დღე—2 თებერვალს, მირქმა უფლისა ჩვენისა.

## ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: ვოკზალზე:

| | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უ. რო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ., შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი 3 თათრული 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —


# განცხადებანი

**ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, მარგანეცის მწარმოებელთა კრების საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს** რომ მის სადგომში, ქ. ქუთაისს, 15 იანვარს, უნდა მომხდარიყო ვაჭრობა იჯარით გაცემისათვის—ჭიათურაში მდ. ყვირილაზე ხის ხიდის გაკეთებისა და შორაპნის მარგანეცის სამრეწველო ადგილებში გზების შეკეთებისა. რადგანაც დანიშნულს დღეს ვაჭრობა არ შესდგა, ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება იქვე, სამშაბათს, 25 იანვარს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში. 2—6—1

**თეორია და პრაქტიკა ფრანგულის ენისა**

გეიდენის ქ., № 6, ქვემო სართული

**სადილის შემდეგ 5—6 საათზედ**

იქვე დაქვეითებულ მოსწავლეთა გაბეჯითება.


გამომცემელი გალ. გუნია



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27